

# განმარტებითი ბარათი

## „ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზიების გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე

წარმოდგენილი კანონის პროექტის აუცილებლობა განპირობებულია თამბაქოს ნაწარმის და აქციზით დასაბეგრი ნავთობპროდუქტების წარმოებასთან იმპორტთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმოშობილი პრობლემატიკით. კონკრეტულად კი აღნიშნულ აქციზურ საქონელთან დაკავშირებული ადმინისტრირების სირთულეების გამარტივების მცდელობიდან გამომდინარე. აღნიშნული კანონის პროექტით რეგულირდება და გარკვეულ წესრიგში მოდის თამბაქოს ნაწარმის და ნავთობპროდუქტების, იმპორტის, გადაზიდვისა და რეალიზაციის წესებთან, ლიცენზიის სახეებთან, ლიცენზიების გაცემაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოების განსაზღვრასთან, ლიცენზიების გაცემის, შეჩერებისა და გაუქმების წესებსა და საფუძვლებთან დაკავშირებული ურთიერთობები.

კანონით გათვალისწინებულია, რომ თამბაქოს ნაწარმის, ნავთობპროდუქტების წარმოების, იმპორტის, გადაზიდვისა და რეალიზაციის სფეროში დასაქმებულ პირებს, თავისი საქმიანობის განხორციელების განმავლობაში ურთიერთობა მოუწევთ მხოლოდ ერთ სახელმწიფო უწყებასთან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მეწარმეთა მხრიდან ადმინისტრაციული პრობლემების გადაჭრისათვის საჭირო დროსა და სირთულეებს, ამასთან ერთი ორგანოსათვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება წარმოებული და იმპორტირებული საქონლის აღრიცხვის სფეროში მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება.

კანონის პროექტი შედგება 13 მუხლისაგან:

პირველი მუხლით განსაზღვრულია კანონის რეგულირების სფერო;

მეორე მუხლში განმარტებულია კანონის პროექტში მოყვანილი ისეთი ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა: პირი, იმპორტი, მიწოდება, საბითუმო მიწოდება, საცალო მიწოდება, თამბაქოს ნაწარმი, ნავთობპროდუქტები, ნავთობპროდუქტების გადაზიდვა, ნავთობის გადამუშავება (წარმოება), ალკოჰოლური სასმელი.

მესამე მუხლში მოცემულია ლიცენზიის სახეობები, კერძოდ ლიცენზიები წესდება შემდეგ საქმიანობებზე:

- იმპორტიორის მიერ თამბაქოს ნაწარმის იმპორტი და საბითუმო მიწოდება;
- მწარმოებლის მიერ თამბაქოს ნაწარმის წარმოება და საბითუმო მიწოდება;

- პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) თამბაქოს ნაწარმის საბითუმო მიწოდება;
- პირის მიერ თამბაქოს ნაწარმის საცალო მიწოდება;
- იმპორტიორის მიერ ნავთობპროდუქტების იმპორტი და საბითუმო მიწოდება;
- მწარმოებლის მიერ ნავთობპროდუქტების წარმოება და საბითუმო მიწოდება;
- პირის მიერ (გარდა იმპორტიორისა და მწარმოებლისა) ნავთობპროდუქტების საბითუმო მიწოდება;
- პირის მიერ ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდება;
- ნავთობპროდუქტების გადაზიდვა.

აღნიშნული ლიცენზიების გამცემ ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო.

წარმოდგენილი კანონპროექტით განსაზღვრული ლიცენზიებისათვის საჭირო დოკუმენტები და პირობები მოცემულია კანონპროექტის მეოთხე მუხლში.

➤ ამასთან, ლიცენზიის ასაღებად, საჭიროა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში სპეციალურ ანგარიშზე დეპოზიტის გახსნა.

მეხუთე მუხლით განსაზღვრულია ლიცენზიის გაცემის ზოგადი წესი, კონკრეტულად კი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ნორმები და სალიცენზიო დოკუმენტში აუცილებლად დასაფიქსირებელი მონაცემები.

ლიცენზია გაიცემა განუსაზღვრელი ვადით, გარდა თამბაქოს ნაწარმის და ნავთობპროდუქტების საცალო მიწოდების ლიცენზიებისა, რომელთა ლიცენზიის მოქმედების ვადაა 2 წელი და მისი მოქმედების ვადა განსაზღვრულია მეექვსე მუხლით.

კანონის პროექტი შეიცავს ნებართვის მფლობელთათვის საქმიანობის რიგ შეზღუდვებს, რომლებიც მეშვიდე მუხლშია მოცემული. კერძოდ კანონის პროექტის მიხედვით:

➤ აკრძალულია ამ კანონით განსაზღვრული ლიცენზიის მფლობელთა მიერ ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის გარდა სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელება, გარდა ალკოჰოლური სასმელითა და თამბაქოს პროდუქტით საცალო ვაჭრობისა;

➤ აკრძალულია ამ კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის გარეშე 40 ლიტრის ზევით ნავთობის დისტილატების გადაზიდვა (გარდა საავტომობილო ავზში არსებული საწვავისა და სარკინიგზო ტრანსპორტისა);

➤ აკრძალულია ლიცენზიის მფლობელის მიერ ნავთობპროდუქტების მიწოდება (შენახვა) იმ ობიექტებიდან (ობიექტებში), რომლებიც არ არის დაფიქსირებული მის განაცხადში;

მერვე მუხლში მოცემულია ლიცენზიის მფლობელთა უფლებები და მოვალეობები, კერძოდ:

➤ ლიცენზიის გამცემს უფლება აქვს ამ კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის მფლობელებს დაუწესოს საქონლის მიწოდების და შენახვის აღრიცხვის და ანგარიშგების სპეციალური წესი.

➤ ამ კანონით გათვალისწინებული დებულებები არ ეხება იმპორტიორებს (გარდა ფიზიკური პირებისა), რომლებიც იმპორტს ახორციელებენ არაეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში.

➤ დასაშვებია ერთი პირისათვის ერთი სახეობის საქონელზე ამ კანონით გათვალისწინებული ორი და მეტი ლიცენზიის გაცემა;

➤ ამ კანონით გათვალისწინებული ლიცენზიები გაიცემა თითოეული სტაციონალური საბითუმო და საცალო მიწოდების ობიექტისა და თითოეული ავტოსატრანსპორტო საშუალების მიხედვით.

➤ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გამოაკრას ლიცენზია თვალსაჩინო ადგილას, ისე რომ ნებისმიერმა მსურველმა შესძლოს ლიცენზიის წაკითხვა.

➤ ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია თვეში ერთჯერ წარმოადგინოს ინფორმაცია შესაბამისი ნაწარმის იმპორტის, წარმოებისა და მიწოდების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

➤ ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია კომისიური წესით, ლიცენზიის მაძიებლის თანდასწრებით, ადგილზე შეამოწმოს სალიცენზიო პირობები, რის შესახებაც აფორმებს სათანადო წერილობით დასკვნას.

➤ თუ ადგილზე შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფაქტობრივი მდგომარეობა არ შეესაბამება კანონით დადგენილ სალიცენზიო პირობებს, ეს ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძველია.

➤ მწარმოებლის მიერ წარმოებისა და საბითუმო მიწოდების ლიცენზიის მფლობელს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს საქმიანობა ამ კანონის შესაბამისად, გარდა ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა. მწარმოებლის მიერ ნაუთობპროდუქტების წარმოებისა და საბითუმო მიწოდების ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია 6 თვით ადრე წერილობით შეატყობინოს ლიცენზიის გამცემს საქმიანობის შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ.

➤ ავარიის შემთხვევაში მწარმოებლის მიერ ნაუთობპროდუქტების წარმოებისა და საბითუმო მიწოდების ლიცენზიის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა შეაჩეროს საქმიანობა, გამოასწოროს ავარიის შედეგები, დროულად და ეფექტიანად აღმოფხვრას ავარიით მიყენებული ზიანი, მწარმოებლის მიერ ნაუთობპროდუქტების წარმოებისა და საბითუმო მიწოდების ლიცენზიისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ნორმატიული აქტების შესაბამისად დაუყოვნებლივ შეატყობინოს ლიცენზიის გამცემს ასეთი შემთხვევის შესახებ და წარუდგინოს დეტალური ანგარიში.

მეცხრე მუხლით განსაზღვრულია ლიცენზიის გამცემი ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც მას ენიჭება ამ კანონის ამოქმედებით, აგრეთვე ლიცენზიის გაცემის ზოგადი წესი, ლიცენზიის მოქმედების შეჩერება და განახლება, ლიცენზიის გაუქმების წესები და პირობები, აგრეთვე ლიცენზიის ფორმაში გასათვალისწინებელი დეტალური მოთხოვნები.

მეათე მუხლით მოცემულია ლიცენზიების შეჩერებისა და ჩამორთმევის პირობები

მეთერთმეტე და მეცამეტე მუხლებით მოცემულია ამ კანონის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ფორმები და ამოქმედების ვადა.

მეთორმეტე მუხლით მოცემულია გარდამავალი დებულებები.

წარმოდგენილი კანონის ამოქმედებით უქმდება „თამბაქოს ნაწარმით ვაჭრობის შესახებ“ საქართველოს კანონი.

აღნიშნული კანონის ამოქმედებით მოსალოდნელია აქტივით დაბეგვრას დაქვემდებარებული ისეთი საქონლიდან, როგორცაა თამბაქო და ნავთობპროდუქტები, ადმინისტრირების გაუმჯობესების საფუძველზე საბიუჯეტო შემოსავლების მატება.

კანონის პროექტის ავტორია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.